სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

99213635416218

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181214372

რეგისტრაციის თარიღი

02.10.2018 წ

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათასთვრამეტი წლის პირველ ოქტომბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #10 მომმართა **ინდ. მენაშენეათა ამხანაგობა „ატენი-19“-ის** (ს/კ 205186421) **ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა ბაქარ გეგელაშვილმა** (დაბ. 19.05.1980წ., მცხ. თბილისი, შ. ნუცუბიძის 18, ბინა 23, პირადი #01024037601). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა **გიორგი ასათიანის** (დაბ: 10.10.1980 წელს, პირადი # 01024023497, მისამართი: თბილისი ბახტრიონის 16, ბინა 29) სახელზე და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ბაქარ გეგელაშვილმა** მომმართა. მე შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, მისი უფლებამოსილება (***ი/მ/ა „ატენი-19“-ის ამონაწერი, გაცემული შემოსავლების სამსახურის მიერ***). მე დავადგინე მხარის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა და რომ ამ მინდობილობის **გიროგი ასათიანის** სახელზე გაცემით ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განახორციელოს მინდობილობით მინიჭებული უფლებები. **ბაქარ გეგელაშვილმა** პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ინდ. მენაშენეათა ამხანაგობა „ატენი-19“-ის** (ს/კ 205186421) **ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ბაქარ გეგელაშვილი** (დაბ. 19.05.1980წ., მცხ. თბილისი, შ. ნუცუბიძის 18, ბინა 23, პირადი #01024037601) ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **გიორგი ასათიანს** (დაბ: 10.10.1980 წელს, პირადი # 01024023497, მისამართი: თბილისი ბახტრიონის 16, ბინა 29), **რათა** იყოს ჩემი, როგორც **ი/მ/ა „ატენი-19“-ის** წარმომადგენელი საქართველოს ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე, მესამე პირების წინაშე, ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, საკრებულოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობებში, სასამართლოში, ბანკში, ნებისმიერი ქალაქის მერიაში, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მერიისა და არქიტექტურის ზედამხედველობის სამსახურში, ჩააბაროს დოკუმენტები, პროექტები (შეიტანოს მათში ცვლილება/ კორექტორება/ დამატება), შეიტანოს განცხადებები, აწარმოოს აზომვითი სამუშაოები, აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის უფლებამოსილ პირებთან, იყოს წარმომადგენელი „ყაზტრანსგაზში“, სს „ენერგო პრო ჯორჯიაში“, ნებისმიერი რეგიონის გაერთიანებულ წყალკანალში, სოკარგაზში, დასუფთავების სამსახურში, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სტრუქტურასა და სამსახურში (შეიტანოს ნებართვის მისაღებად საჭირო ყველა განცხადება, განაცხადი, მიიღოს ნებართვა ხელზე, მიიღოს ტექპირობა), მერიის ზედამხედველობის სამსახურში, შემოსავლების სამსახურში, არქივში, ტექ. ბიუროში, სასამართლოში, ეკონომიკის სამინისტროში, ქონების მართვის სააგენტოში, არქიტექტურის სამსახურში (ჩააბაროს და დაარეგისტრიროს დოკუმენტები), სანოტარო ბიუროში, მინდობილი პირი უფლებამოსილია ამხანაგობის თავმჯდომარის სახელით დაესწროს კრებას, ჰქონდეს ხმის უფლება, ხელი მოაწეროს კრების ოქმს, ასევე საჭირო ყველა დოკუმენტს, განცხადებებს, შეთანხმებებს, ხელშეკრულებებს; გადაიხადოს საჭირო მოსაკრებლები და გადასახადები, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად ზ/აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ საჭირო დოკუმენტებზე და შეასრულონ ყველა მოქმედება და ფორმალობა ამ დავალების შესასრულებლად.

ეს მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, შემდგომი გადანდობის უფლებით. მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუსის არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: ***ი/მ/ა „ატენი-19“-ის ამონაწერი, გაცემული შემოსავლების სამსახურის მიერ.***

გადახდილია საზღაური 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი: აქედან 10 (ათი) ლარი 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად და 2 (ორი) ლარი იმავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური და 1,80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ბაქარ გეგელაშვილი _____

ი/მ/ა „ატენი-19“-ის თავმჯდომარე

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი